<u>შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ აცხადებს ტენდერს პერსონალისთვის სპეციალური ტანსაცმლის შეკვეთა ლუკოილ ჯგუფის ორგანიზაციების ბენზინგასამართი სადგურების პერსონალის ბრენდირებული და სპეციალური ტანსაცმლის კატალოგის მიხედვით.</u>

საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჰეიდარ ალიევისსანაპირო, N11, შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ სათაო ოფისი;

ტენდერის პირობები

თავი I. <u>საერთო დებულებები</u>

1. სამუშაოები უნდა განხორციელდეს კომპანიის მიერ, რომელსაც შეუძლია შპს ''ლუკოილ-ჯორჯიას'' მიერ შესაძენ სრულ პროდუქციაზე წვდომა, ხარისხიანი პროდუქციის შეთავაზება.
2. შპს ''ლუკოილ-ჯორჯიას'' პირობები ტენდერში მონაწილე კომპანიებისთვის:
   - გადახდის ვადა (კონსიგნაცია) 30 სამუშაო დღე;

თავი II. <u>სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:</u>

1. კომპანიის (პრეტედენტის) შესახებ ინფორმაციას:

- აუცილებელი პირობა - მონაწილე აუცილებლად უნდა იყოს კომპანია- რეზიდენტი;
- კომპანიის სრული დასახელება;
- იურიდიული მისამართი;
- ფაქტიური მისამართი;
- ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა;
- საკონტაქტო პირი;
- საბანკო რეკვიზიტები;
- კომპანიის ხელმძღვანელ(ებ)ის მონაცემები;
- მსგავსი მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ მონაცემები;
- სერტიფიკატი ან დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ტენდერში მონაწილეს აქვს უფლება გასწიოს მსგავსი ტიპის მომსახურება.
- კომერციული წინადადების ღირებულება მოცემული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში.

2. საკვალიფიკაციო დოკუმენტები ტენდერში მონაწილეობისთვის წარსადგენად:

- პრეტედენტის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- შესაბამისი ორგანოების შეტყობინება ლიკვიდაცია-რეორგანიზაციის პროცესის არ არსებობის შესახებ;
- საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვების არ არსებობის შესახებ ცნობა;
- მსგავსი მომსახურებების შესახებ გამოცდილება;
- ტენდერის მონაწილის ინსტრუქცია - ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი;

3. სატენდერო წინადადება

- ტენდერში მონაწილის კომერციული შეთავაზება, პროდუქციის ფასი პროდუქციის ტრანსპორტირებასთან ერთად უნდა წარმოადგენდეს, დღგ-ს ჩათვლით, ეროვნულ ვალუტაში.

<u>სატენდერო პროცედურებები</u>

<u>1. ტენდერი ჩატარდება ღია ფორმით.</u>

სრული დოკუმენტაცია გამოგეგზავნებათ ტენდერში მონაწილეობის შესახებ მიღებული განაცხადისა და მოთხოვნებთან შესაბამისობის დოკუმნტაციის განხილვის შემდეგ.

ტენდერში მონაწილეობაზე განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2024 წლის 10 მარტი 18:00 საათი, ზემოთ მითითებულ მისამართზე. განაცხადთან ერთად აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული საკვალიფიკაციო კითხვარი.

სატენდერო წინადადებებისა და სპეციალური ტანსაცმლის შესაბამისი ნიმუშების მიღების/წარმოდგენის ბოლო ვადაა 2024 წლის 20 მარტი 18:00 საათი, ზემოთ მითითებულ მისამართზე.

ტენდერის პირველი ეტაპი (წარმოდგენილი ტექნიკური მასალის შეფასება) გაიმართება 2024 წლის 22 მარტს 12:00 საათზე.

ტენდერის მეორე ეტაპი (კომერციული ნაწილი - ვაჭრობა) გაიმართება 2024 წლის 22 მარტს 15:00 საათზე, ზემოთ მითითებულ მისამართზე. სატენდერო წინადადებების კონვერტების გახსნის პროცესში რეგისტრირებული აპლიკანტების წარმომადგენლების მონაწილეობა სავალდებულოა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორებები განხორციელდება კონტრაქტორის ანგარიშზე საბანკო გადარიცხვით.

სატენდერო წინადადებები ძალაში უნდა იყოს ტენდერის მეორე ეტაპის ჩატარების თარიღიდან არანაკლებ 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

სატენდერო წინადადებები წარმოადგინეთ ქართულ ან რუსულ ენებზე.

ტენდერში გამარჯვებულმა საქონელი, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, უნდა მიაწოდოს მისამართზე: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, N11, შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ სათაო ოფისი.

ფორმა - "განაცხადი ტენდერში მონაწილეობისთვის", ასევე სხვა ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ მოწვევაში მითითებულ ტელეფონის ნომრებზე და ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

<u>განსაკუთრებული პირობები</u>

1. ხელშეკრულება გაფორმდება ტენდერის იმ მონაწილესთან, რომელიც სრულად აკმაყოფილებს სატენდერო კომისიის მოთხოვნებს.

2. გამარჯვებულთან ხელშეკრულება გაფორმდება არაუგვიანეს 20 კალენდარულ დღისა ღია ვაჭრობის დასრულებიდან და საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებიდან.

3. თუ წინადადება, რომელიც ტენდერის მონაწილემ წარმოადგინა, იქნება არასწორი ან არასრული, მოხდება ამ მონაწილის დისკვალიფიკაცია.

4. წინადადების განხილვის დროს კომისია უფლებას იტოვებს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია აუცილებლობის შემთხვევაში. კონკურსის მონაწილის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში , მოხდება მისი დისკვალიფიკაცია.

5. კომპანია არ აგებს პასუხს ხარჯებზე, რომლებიც გაწეულ იქნა ვაჭრობის პროცესში მონაწილის მიერ, იმისდა მიუხედავად გაფორმდება თუ არა ამ მონაწილესთან ხელშეკრულება.

6. კომპანია არ არის ვალდებული გააკეთოს თავისი გადაწყვეტილების ახსნა-განმარტება მონაწილეებისათვის ტენდერის ჩაშლის ან საბოლოო გადაწყვეტილების თაობაზე.

7. შპს, ლუკოილ-ჯორჯია“ არ იღებს ვალდებულებას, რომ დადებს ხელშეკრულებას ტენდერის რომელიმე მონაწილესთან.

საკონტაქტო პირი: ირაკლი ზვიადაური

+ 995 597 75 3131